

მთრახვი

და სვლაძური

№ 23

ყოველ-კვირული, იუმორისტული ჟურნალი



ამა მესტიერის გაცნობა
ყველასთვის არის ადვილი,
რაკიდან მოვლინებულა,
„უბრადაში“ აქვს ადვილი...

რასაც დაუკრავს, იმ ხმაზე
ფეხს ააწყობენ „მამები“...
დახეტ რა რიგათ ტუნავენ
პატივცემული გვამები!...

ეშმაკის ინტერვიუ.

პართენ გოთუასთან.

— ალბათ გიკვირთ, ბ-ნო პართენ ჩემი სტუმრობა. არა?

— მე თქვენგან არაფერი აღარ გამოვიკვრიდებ ბ-ნო ეშმაკო! ისე ნომერს არ გამოუშობ. შე დოლოცილო, რომ ჩემ შესახებ ორ სამ აღაგას ხელი არ წაივარჯიშო...

— მერწმუნეთ, რომ ეს ავი გულით არ მომდის. მართალია პირველ-ხანებში თქვენ უფრო მეტს შრომობდით ჯოჯოხეთისა და ეშმაკებისათვის, მაგრამ...

— რალა მაგრამ, მე სწორეთ გამოტყდა გული თქვენზე.

— ახლა ჩემსას აღარ იკითხავთ, ახლა ჩემსას აღარ იკითხავთ? დავილუებ მე უბედური, მე წყალ წაღებულთ; ამას რას მომასწრო უმადურმა ბედის წერამ, უღომობელმა ბედის ტრიოლმა...

აქ მწარე ცრემლები წამსკდა და გულ ამოსკვნილი ტირილი დავიწყე. პართენი ჯერ შეცბა, მაგრამ მალე მოგანიერდა და თანაგრძნობით დამიწყო მშვიდება.

— რა დაგემართა, ცმაწვილო, რა ვუყოთ. მართალია მწელი რამეა იმედის გაცრუება, ცხოვრებაში გულის გატეხა, მაგრამ ხომ გავიგონია

გიორგი გვაზავას სიტყვები: «ქირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსაო. კარგი, დაწუნარდი, გამაგებინე მაინც რაშია საქმე. კარგი, კარგი...

ყოველივე ცდა ამაო იყო. ჩემი უბედურების გახსენება ცრემლებს მიმატებდა და მოთქმა-ვაებას მიორკეცებდა. ოთახში თითქმის ისეთი [ტბა დაღვა ცრემლისა, რომ პართენის მოკლე სერთუქს მოადგა.

— რა ამბავია, ბავშვო, ამდენი ცრემლები! კარგი გენაცვა, გეყოფა! ამდენი ცრემლები თვით სასონსაც არ დაუღვრია, „ცნობის ფურცლის“ ფელეტონებში. კარგი დამშვიდდი.

მე კვლავ ვსტიროდი და ვიცრემლებოდი, რა-მეთუ დიდი იყო მწუხარება ჩემი.

— რა გინდა? იქნებ ადგილი გინდა ბანკში, იქნებ ჩემს რედაქციაში გინდა მუშაობა? კარგი, მითხარი გენაცვა, გაუფრთხილდი ამდენ ცრემლებს, სხვა არა იყოს სირცხვილია.

ყოველი ასეთი ტყბილი სიტყვა მე ცრემლსა და მწუხარებას მიმატებდა. ვტიროდი, ვტიროდი დაუწყწარებლათ. თითონ მიკვირდა თუ საიდან მოსდინდებოდა უშრეტო ცრემლთა ნაკადი.

— იქნებ არტისტათ გინდა ქართულ თეატრში შემოსვლა? იქნებ წერა-კითხვის საზოგადოებაში ეძებ ალაგს? სოქვი, სოქვი და თუ რამე შემიძლია თავს არ დაეზოგავ, შრომას არ დავიხარებ...

მე ვსტიროდი და კვლავ ვსტიროდი.

— იქნებ სტიპენდია გინდა, ბოშო? მითხარი, არც ამაზედ ვაგაწიბლებ, არც აქ დაგამადლი სამსახურს. ოღონდ გაჩემდი, ოღონდ ეგ ტირილი მოსსე.

— ვაიმე, ვაიმე, ვაიმე! ამომწყდა უცებ გულიდან და ისევ მწარე ცრემლით დავიმღულრე.

— რა ექნა ღმერთმანი! რაღაც მძიმე სევდა განყეს გულზე ყმაწვილო! სოქვი გაბედე, ფიცსა ვსდებ: შენი დანაშაული, შენგან მოყენებული მწუხარება დავივიწყო და დაგეხმარო. ოღონდ გაბედე, ოღონდ მითხარი...

— მშვილობით იმედებო, მშვილობით გაცრუებული იმედებო, ვაიმე, ვაიმე, ვაიმე... და კვლავ დაითრთვილა სახე ჩემი გულწრფელი, უმანკო ცრემლებით. ვატყობდი, რომ ჩემს არსებაში რაღაც საშინელი ჯოჯოხეთი სდულდა და აჩუყებული გული ვედარ დამეშვიდებია.

— კარგი ყმაწვილო, კარგი ღვთის გულისათვის! ნუ მაწამე, ნუ გამტანჯე. მითხარ რა გიკლავს გულს, რა გიშფოთებს სულს. იქნებ რწმენა გამოგეცვალა, იქნებ მიხვდი, რომ დღემდე შემცდარი გზით ხვიდოდი და დღეს აგებია თვალები? მითხარი, მითხარი.

არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა სიტყვებმა უცებ ჩაჩრდილა ჩემი მწუხარება: ცრემლმა შესწყვიტა დენა, სახემ უკუიყარა დაღრეჯილობა, გულმა ცემას მოუკლო და თუმცა არა ხანგრძლივი, მაგრამ მაინც მოვიბოვე მშვიდობა სულისა. მძაგს, როცა რწმენით ვაჭრობენ ხოლმე!

— თქვენ სცდებით ბ-ნო პართენ! გამდლობთ თანაგრძნობისათვის, მაგრამ თქვენ სცდებით, სცდებით.

— როგორ, მითხარი როგორ!

— როგორ და ჩემი მწუხარების მიზეზი თქვენა ხართ, თქვენ!

— როგორ! ღმერთო ჩემო! განა მე თქვენ, თვის რა დამიშავებია, მე... მე... მე... ვერ მივხვდარვარ... მითხარით, მითხარით ღვთის გულისათვის.

— თქვენ, თქვენ მომისპეთ სულის სიმშვიდე, თქვენ დამიკარგეთ უკანასკნელი იმედი, გამიქარწყლეთ მომავლის ნუგეში... თქვენ გამიშრეთ ცრემლი და მომიხარო შეთ გული.

— ყმაწვილო! როგორ, როგორ? რატომ არ მეტყვი, რისთვის არ გამაგებინებ ჩემს დანაშაულს, მითხარი, ნუ მიმალავ, ნუ მტანჯავ.

— როგორ გითხრა, როგორ, გითხრა, თქვენც დრამა დაგიწერათ, ღმერთო ჩემო! ვაი გაცრუებულ იმედო.

აქ კვლავ წარმსკდა მღულარე, გულწრფელი ცრემლი და გონს რო მოვედი ვხედავდი თითონ პართენიც სტიროდა.

გარწმუნებთ მესიამოვნა.

ეშმაკი.

*

*

*

მე მას ვეძებდი... მას კი, ვიხილე,

რომ სხვის უბეში თავი ჩადო!

სატრფო მეგონა და ესეც ჩემთვის

დაგნანებია, მუხბალო ბედო!

მე თვალზე მომწყდა ობოლი ცრემლი,

მან კი, პასუხად. გადიკისკისა;

საბუთიც ჰქონდა: მის გვერდით მჯდომსა

ოქროსი საყვე ხელთ ეყურა ქისა!

ხედნიერია ეხლა ის ორო...

მე კი სევდის წყლულს მით აღმიშლიან,

რომ ერთი — გრძნობას, მეორე — ოქროს,

ერთმანეთშორის ვაჭრულად სცვლიან!...

ნ ზომღეთელი.

დ ე ბ ე შ ე ბ ი .

(საქართველოს სააგენტო)

ჯიხიაში. სამრევლო სკოლაში მეოთხე კლასი გაიხსნა. საჭირო დარჩა ოთხ-თავიანი მასწავლებელი, დანაშნენ ნუცუბიძე. ეს ვაიგო პ. დევიძემ და მოითხოვა მისი გადაყენება. გამგემ უარი უთხრა. შემდეგ ბ-მა დევიძემ ქუთაისიდან ჩამოიტანა საბუთი თავისი ოთხთავიანობისა და იძულებული გახდა გამგე, დაეთხოვა ნუცუბიძე, როგორც ერთ-თავიანი მასწავლებელი.

იქიდანვე. ორი „მასტერიცა“ წაიხზუნენ. ერთმა მეორე ვალანძლა. გამარჯვებული გაიქცა და სტრაჟებს დაუძახა. დამარცხებული მასტერიცა შეშინდა და ჩუმათ გაიპარა. სტრაჟები დარჩენ ხელცარიელი, მოძღვარი ლეჟავა კი ძლიერ მადლიერი.

სამიქაო. ორი თევა, რაც აქაურმა „პროგრესისტებმა“ დაარსეს ეგრეთ წოდებული „პროგრესიული სკამი“. ვინაიდან მასწავლებელი კ-ძე კარგი მოარზიყე არ გამოდგა, მამა თ. კ. ექებს ამ დარგში უფრო დახელოვნებულ ახალგაზღას.

სოხუმი. სოხუმის „პროგრესიულ ქალთა“ უკანასკნელ კრებაზე დაადგინეს: დღიდან მოისპოს ადგილობრივ ქალებში ქოლგებით ჩხუბი“.

ერთი წელიწადია ჩვენი ქალაქი „უთავოი“ ცხოვრობდა და ახლა როგორც იქნა გამოიბა გრაფის თავი.

ბახვი. ამბობენ ჩვენი მამასახლისი შუამდგომლობას აღძრავს სადაც ჯერ-არს, რომ ეგრეთ წოდებული „ნაობახტისთვის“ ცალკე სახლი იქირაონ. მართლაც ის სატუსაღო რა სატუსაღოა, თუ 25 კაცს ვერ დაიტევს და ის მამასახლისი რაღა მამასახლისია, რომელსაც დღეში 50 კაცი მაინც არ უხის?

სამტრეღია. სარევიზიო კომისიის აღმოჩენით უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოში აღმოჩენილა 2 წიგნი (ისიც უღა მოგლეჯილი) 1) „სიზმრის ასნა“ ა. შუბარათოვის გამოცემა და 2) მდივანოვის 1887 წლის კალენდარი. მკითხველი დღეში 2 1/2 სარგებლობს.

ილორი. მამასახლისი ერისტო იბლაძე მეტის აქანჭრით ძლიერ დაიღალა და დღით ექიმ მანჯრის უფროსმა სავაეროთ ვირის აბანოში გაგზავნა. მწერალი ესტატე ჯორიძე მარტო ვერ ისვენებს დისიც ერისტოსთან ეპირება გადასახლებას.

ხაშური. ამას წინათ დაპატიმრებული ბერაძე გაანთავისუფლეს, დაპატიმრეს ქმარი, რომელსაც პასუხის გებაში აღიფევენ 102 მუხ. ძალით.

იქიდანვე. ახლად გაეშაყებულს „შუაზე გაწიწვანა“ „იკისერში ხელის წაყიდებით“ შეუცვალეს. იმედი აქვს, რომ სასჯელს სხვებსაც შეუმსუბუქებენ.




ი მ ე ღ ი .

როგორც მსუსხავ ზამთრის ყინვისგან ახლათ ფურჩქენილი სქკნება ყვავილი, ისე მეც, უამსა უიმედობის, მიპყრობს საზარი გულის სახმილი.

* * *

მეგრამ ვით ზამთარს, შეგ-ბნელ დღიანსა სცვლის გაზაფხული კაშკაშ-მზიანი, ეგრეთვე მთელსა ჩემს არსებაში მსწრაფლ შენდებიან იმედის მთანი.

დ. თურდოსპირელი.



გურული სცეხა.

- რა ამბავი პეტრიკავ გურიში?
- რისი ამბავი ვინდა მარგალიტათ.
- ნამუშეირი რავია იყუ?
- უკეთესი რომ არ შეიძლება. ერთი ცვარი ოფლი არ დაგვიტყვიყვია ყლოფიერი ისე იოლათ მივალაგეთ სამ დღეში.
- რავა, ისე ჰაწეი მევიდა?
- ვინ გითხრა ჰაწეი მევიდა? სულზე თითო გორი-კაი მინც კი შეხთება—მერე იმას მოტეხამდე დღისია პე-პელაი.
- ღვინო მევიდა მაინც ბევირ?
- საზედაშუთ იგიც გვეყვოფა მარა ზედაშე, რა გვინდო-და რომ წირვა აღარ ვიცი.
- ვაზთო-მოყვანის საქმე რაფერ არის?
- ქორწილები ბვირივით. ქორწილების წიგნს სულ დაბეჭდილს არიგებენ. ზოგი შვილს ათხოვს, ზოგი შვილის შვილს, ზოგი ბიძიშვილს ზოგი კლდე შვილით გამოზდილ ნაბარებ ციკას, ზოგი ნათლულს ქორწილით. გვიხედავ იე-

ყუღება ალაპის ჩოგანით კიშკარზე შვლიკი ყაზახი და იძახის: — „ეი მაინძელო“ ეტყვი მობრძანდით, არა შინ ჩამოსასვლელათ არ მკალია სხვაგან მიუქტარებო, შერ კორწილის წიგნები მაქ დასარიგებელი, თქვენც ბძანდებით დასაიჯებელი მეუღლი და იმედია გვემ პატეს, მაინძლის ოჯახს გამზიარულე, გახსნი წიგნს წეიკითხავ. შით ასე წერია:

«აჲ გიორგობისთვის შეიდა დღესა დღით კვირას მაქ გათხვებათა კორწილი ასულისა ჩემისა კვლასიასი რომელიც მითხოვილია ახნაურ ისიდორე სირბილაძეზე ამისათვის უმოჩინლსათ გთხოვთ აღნიშნულ დღეს დღის 12 საათზე მობრძანდეთ და ამზიარულთ ოჯახს ჩემი რითაც დავჩემი საუყუნით დავაღებული.

პეტრე იობის მე კვარკვალაძე და შვილები ჩემი: ვასო, გრიშა, პუბი, ალიცანდრე, ხალაშპრე და ტოგო »


— წეიკითხავ ამფერ წერილს და შეიქნება სახში ერთი ვაი უშველებელი. დახედავს ქალი კონფერტზე, გააზრუნებს, გადუბარუნებს და როცა წეიკითხავს «მეუღლითურთ» დეიწყებს ტკიბლათ ლაპარაკს.

— რაფერ იქნება, ბოშო აგი ამბავი ა? პეტრიას ვეფერობამდი ვერ დავაღტებით, პაწეი სხვაფერი კ ცია, მოსახმარი. პეტრეივი პეტრეივა, მარა აი მისი შილიები რაფერ გეიწპილება. დღი შეკრებლობა იქნება და ჩვენ ხომ ვერ გამოეწყვებით. ციაკო უნდა წეიყევანოთ, გასათხოვარი შექნა აგერ და იქნება მაგის ბელიკ გეისნას.

ყორიფელი კი, თვალის გაჭყერა, ჯარში გარევა მარა წახვალ და სამი ტლიკეა მანთი უნდა, არ წახვალ გაგინდება ჯოჯობეთი შინ დეიწყებს ქალი ტრილის ქადს არ გამომიტხოვს დაწობა არ ადგება, ადგება არ დაწობა, ზღუკუნებს, მოთქვამს: მე უბედური მე განიქეული, მე უბედომიჯღემში განწარმული, მიდღემში გუზხარბელი, მიდღემში თვალ გუუჭყერელი. შეიქნება ერთი მოთქმა ტირილი. პეტ, რიეი იწერება გამზიარულე ჩემი ოჯახი, მისი ოჯახი კი იმხიარულებს თუ მუჯანე სამი მანეთი, მარა ჩემსას არ რკითხავ? წამოგადგებს ხელზე სამ კიბეკ ძროხის ხარჩოს და ერთ ნაქურს გამოტლიპუხეულ პურს. ამისნაი წიგნი კვირეში ათი მაინც მოვივა, რაფერ უნდა გუფლოს კაცმა?

(შემდგვი იქნება)

პიტნა.



შ ა რ ა დ ა.

ვინ არის „მამოჩენეო“
 ზეპირად რომ არ იცოდეს?
 (ქხამს ქრისტიანი ამგვარი
 სირცხვილითამცა იწოდეს!)
 აი, ამ ლოცვას, შეიდიოდ
 თხოვნა აქვს მიმართ უფლისა,


აქ ეს მომეო, იქ ისა...
 მიწიდან ზეცად უთვლისა.
 მეოთხე თხოვნის საგანი,
 აი რა გვიანდა ამ ჟამა,
 (თხოვნით კი ვითხოვთ, თუ მართლა
 გვიწყალდება და გვაქამა!)
 უთუოდ მიხვდით, რადგანაც
 აქ რაა ზიუხვევრელი?
 მშვიტ ბინადარს მიწისას
 რა აქვს ცად შესაგვერელი!
 ახლა მონახეთ მეორე
 ანბანი, მისაკერები,
 (აქ გამოჩნდება მოზრდილი
 ვისაც ასხია წვერები!).
 ქართული ქორონიკონი
 გვეკირია უსაშველოთა,
 რვასით ათასისაკენ
 შვა გზად რო შვეიცენოთა.
 ამისა შემდგომ ერთი რამ
 ნივთი გვაქვს მოსახვეჭავი.
 (რამდენი ქალი მინახავს
 ქართლში იმისი მღუკავი!!!)
 ცოხნიან დაუზოგავით!
 (არ მომწონს სანახავათა
 ამბობენ: კბილებს ფერავსო
 ზედ თუ რამ აკრავს შვათათა).
 ვინ იცის, იქნებ ფ სიტყვა
 ბევრ თქვენგანს ეცხოვოსა...
 რა გზაა, ვეტყვი კოდოს, რომ
 ბოდიში მოითხოვოსა.

მაგრამ, სანაცლოდ, იმისგან
 თქვენც იღეთ რამე ყურადა,
 რადგან შარადას არა ვთხავ
 მე თქვენდა მოსამღურადა.
 მაშ წერილ ფრთოსანთა სახელი
 გასქერით შვაზე ორათა.
 (თუ ტოლსტოველი ვინმე ხარ,
 კრემლი წავსკდება ღვართათა!)
 მეორე კატას მიუგდეთ
 თუ ვარგა შესაქმელათა,
 ხოლო პირველი იხმარეთ
 სხვა სიტყვის მისაბმელათა.
 დააწყობთ სამივე ნაწილსა,
 ამ ტანჯვით გამოჩახულსა
 და უცებ, გვარი ნაცნობი
 გაახლისებს თქვენ გულსა.
 რაც ქვიყნათ ღუმე დაარსდა
 პეტერბურგს ანაშენები,
 მას შემდეგ იმა სასახლეს,

ყავს იგი დამამშვენები.
ათას გვარ ცილსა სწამებენ
იმას „ბოროტი ენები“,
ჯერ თურმე არვის უნახავს
სკამზედან მონასვენები,
ვით მაიმუნი წიწმბატობს
რითქო სტანჯავდენ სენები,
ათი ათასჯერ ყოფილა
უზომოთ შენარცხვენები.
ულრდელი სიტყუებისთვისაც
მოსვლია განაჩენები,
ერთი და ორი კვირითა
ციხეში ჩამსვენები,
მაგრამ რა, ხასიითი აქვს
ასეთი შესაჩვენები.

არ ვიცი ვისთვის არ კმარა
აქ სიტყვა მონახსენები...
და არ თუ კაცნი, დახსნიან
ფეიქრობ ჯორნი და ცხენები.

კოლო.



დ ე მ ე ბ ი

(რუსეთის სააგენტო)

ადესა. დღეს სპარსეთის ნაშახარი სატუსალო-
ში შეიყვანეს. რასაკვირველია არა ჩადენილ დანა-
შაულობათა მოსახდელათ, არამედ პირობების გასა-
ცნობათ, ნაშახარმა განაცხადა: ეს ციხე კი არა, ეს
ჩემთვის სასახლეცა ივარგებსო. იმის აღტუებას
დასასრული არ ჰქონდა, რომ ეღიროს ასეთი მშვე-
ნიერი სასახლის ნახვა. წინააღმდეგ ჩვეულებისა და
მოლოდინისა არ მოუთხოვია გასართობათ რომე-
ლიმე ტუსაღის სარზე ჩამოგება ან თავდაღმა ქერში
გამოკიდვა. განსაკუთრებით იმან გააოცა ყოფილი
შახი, რომ ტუსაღებს სახელმწიფო საქმელს (თუ
შეიძლება საქმელი დაერქვას) აქმევენ. ჩვენ ასე არა
ვშვებოდითო, განაცხადა აღმოსავლეთის მარგალიტ-
მა, ჩვენში ტუსაღებს ნათესავეები აქმევენ და თუ
ნათესავე არა ყავს, სჩანს ჭამაც აღარ დასჭირდება.
ვარშავა. საინტენდანტოს რევიზიას ცული შე-

დგე მოჰყვა; თავი მოიწამლა ინტენდანტმა აღენ-
ჩიკოვმა. ამბობენ მას პაღლოგები და ფულეების გა-
ფლანგვა აღმოაჩნდაო. ამ სამწუხარო ამბის შემდეგ
იმედი აქვთ ყოველგვარ რევიზიებს მოსპობს მთავ-
რობაო. ეს ხმები იმით არის გამოწვეული, რომ
ქრთამებისა და გაფლანგვისათვის თუ მოხელე დაისა-
ჯა კაცი აღარ დარჩება სასახურშიო.

პეტერბურგი. ქართველნი სტუდენტთა „სამე-
ცნიერო წრის“ კრებაზე საინტერესო საკითხს შეე-
ხენ.* ერთ წევრს სოფ. ხონის მახლობლათ უპოვ-
ნია ქვევრის ნატები, რომელსაც ქართული მხედრუ-
ლით „ნოე“ აწერია. მას ეს ნატები პეტერბურგში
ჩამოუტანია ამხანაგებთან ქრთად გამოსაკვლევათ.
ნატებს 15 ოთხკუთხი დუიმის სიგრცე აქვს და იწო-
ნის გირვანქას და 11 მისხალს მთელი საღამო
ახალგაზრდა მეცნიერებმა იმის გამოკვლევას მოან-
დომეს, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ნოე“, რომელიც
ერთობ გაურკვეველათ ემჩნევა ქვევრის ნატებს. და-
სასრულ თითონ მპოვნელმა წაიკითხა ვრცელი მო-
ხსენება და დაამტკიცა, რომ ეს ქვევრი ყოფილა იმ
ისტორიული ნოეს ქვევრი, რომელიც წარღვნის
შემდეგ არარატის მთის ძირში დასახლდა და ვენა-
ხი მოაშენაო. ეს საყურადღებო გამოკვლევა ბევრს
საიღუმლოებას ხდის ფარდას; მაგალითად დღევანდ-
ლამდე ნოეს ქართველათ არ სცნობდენ, არარატის
მთა სიმხეთში ვგონათ და არა ხონში და ათასი
სხვა. წრემ განსაკუთრებულის აღფრთოვანებით მო-
ისმინა ეს რეფერატი და თითქმის ერთხმად დაეთან-
ხმა ჩვენს ახალგაზრდა მკვლევარს.

პეტერბურგი. სახელმწიფო ღუმამ გააორკეცა
თავისი მოქმედება ქვევრის საკეთილდღეოთ. ამ ბო-
ლო დროს ოქტომბრისტებმა უფრო მარჯვნივ დაი-
წიეს და მემარჯვენებმა მარცხნივ. ოქტომბრისტე-
ბის ხათრისთვის მემარჯვენებმა ხმა მისცეს ერთ
ახალს, მეტად საყურადღებო კანონ-პროექტს. სა-
ხელდობრ: აეკრძალოს ცხენების მომშენებელთ, ცხე-
ნებს სასულიერო პირთა სახელები დაარქვან. გა-
მოირკვეა, რომ მოსკოვში ცნობილ იორლატენს
სახელათ, „პეტრე-ლიაკონი“ რქმევიო. იმედი აქვთ
ამ კანონ პროექტის მიღება საცხებით დამშვიდებს
რუსეთის ცხოვრებას.

* ამ სხდომის შესახებ ვრცელი წერილი მიიღო ბ.ნ.ა
ემუკმა „არა მეცნიერისაგან“, მარა ჯერ-ჯერობით ვერ გეჭ-
დავს, რადგან არა მეცნიერს წერილზე საკუთარი სახელისა და
გვარის მიწერა დავიწყებია. ალბათ ეს მეტის სიზარულსაგან
მოსვლია, მაგრამ მაინც დავიწყებია.

რეუ.

მ ბ მ ბ ა.

ქსელსა ქსელავდა ობობა,
 ვაღიოდ-ვაშოდიოდა...
 სოვიგირთების სიტყვებზე
 სწუხდა და ასე ჩიოდა:
 «ვინც «კაპიტალისტს» ახსენებს
 წყველა-კრულით და კიცხვითო,
 ის იქვე მეც მიხსენიებს
 არა საკადრის სიტყვითო:

„ზხედავთ ამ კაპიტალისტსა,
 გულ ქვასა, სისხლის მსმელსავო,
 ობობასა ჰგავს, მასავით
 მუშებს ვაუბამს ქსელსაო!“

ასეთი შედარებისთვის
 მე მათ კარგს ვეტყვი ვერასო,
 რა მიგავს ნეტავ მუშის მტერს
 იმ წუწქსა, გაიძვერასო...

მე სხვა ვარ, იგი სხვა არი
 სწორს ნუ ადარებთ მრუდსაო,
 მე თუ ბუზებს ველეტ მერე რა?
 თქვენ აქ რას ხედავთ ცულსაო?
 ზოგი თუმც მანეთ ვერ სცნობს ბუზს,
 მაგრამ ვინც გაიხსენებსო,
 ხალხში სულ ბუზი ავრცელებს
 ბევრგვარ ვადამდებ სენებსო:

სიბინძურეზე დაჯდება;
 «ბაცილებს» ფეხთ მოიდებსო,
 შემდეგ სუფრაზე გეწვევათ,
 (არავის მოირიდებსო)

საქმელზე შეგვიტყობათ,
 თქვენც უქმეთ, ხელობს აქნევთო,
 თან საქმელსა სქამთ? მაგრამ ზედ
 „ბაცილებს“ კი ვერ ამჩნევთო.

ეს „ბაცილები“ ვისაჲ ჰკლავს,
 ბევრი ამას სოვლის „წერათო.“
 ბუზს-კი ვერ ცნობენ საწყობები
 კაცობრიობის მტერათო...

და აი, მეც ამ ბუზებს ველეტ,
 თქვენ-კი მადლს აღარ მიხდითო?!
 ან ნახეთ „კაპიტალისტიც“,
 რა დიდ მსხვერპლს ითხოვს მიხვითოო:


რაღ სიმდიდრე ამ ქვეყნათ,
 რითაც სულდგმულობს ვეროო,
 სულ მუშის ხელით შექმნილა
 ყოველგან ყველაფეროო,

და აი, „კაპიტალისტიც“
 ამ მუშებს ოფლში სწურავსო
 და მათი შრომის წყალობით
 სულ სიმდიდრეში ცურავსო.

მუშებს-კი რომ ჰკლავს შიმშილით,
 „რას ვნალობო!“ ასე ამბობსო
 და იმის შავ გულს, ქვათ ქცეულს,
 ვედარაფერი აღბობსო.

ასეთ კაცს როცა მადარებთ,
 როგორ არ მეწყინებაო!!
 ეს შედარება... ღმერთს ვფიცავ,
 ძალიან მერცხვინებაო.“

ფონ-ტეფო.



„შ უ რ ი ს ძ ი მ ბ ა.“

ფოთელი პროვიზორი ა. ჩხეიძე ძლიერ ადელ-
 ვებული იჯდა საწერ მაგიდასთან. წინ ერთი პაჩკა
 მაღაზიის ბლანკები და კალმები ეწყო. ცხადთ ჩნდა
 წერას ეპირებოდა.

— მე ვუჩვენებ მავათ, როგორ უნდა ლანძღო
 და ცოდვთა გამოძლევენება. ჩაილაპარაკა მან, და
 ერთ სუფთა. უმანკო ქაღალდს დაბაჯინა თავისი
 თოვლივით თეთრი, მაგრამ წამლებისაგან „სუნ მი-
 ლებული“ ხელი.

„გაზეთის მომავლის“

თფილისში რედაქტორი“—ო
 დასწერა მან და რაკი სიტყვათა წყობა არ მოეწო-
 ნა, ბლანკი დახია და ვადაყარა.

— დასწყევლის ღმერთი! ეს ქართული ენა
 ლანძღვისათვის სწორეთ მოუხერხებელია! То-III
 дѣло по русскій! ებ შენი ქირიმე.

ესა სთქვა, და პატივცემული პროვიზორი დაემუ-
 რა ქართულ სიტყვიერებას. მან თავისი „შეურაც-
 ხყოფის მოსარეცხათ რუსული ენა აირჩია.

— კაცმა რო სიმართლეს სთქვას, განა რას ვერჩი
 რედაქტორს? ჩუმთ რეცეპტებს და აკრძალულ წამ-
 ლებს ვაკეთებ, თუ შემიტყვევს ჩამავდებენ გაზეთში,
 მა რა იქნება? მაგრამ ერთს გულს მაინც ვიჯერებ.

აქ პროვიზორი ა. ჩხეიძე კვალად ჩაფიქრდა-
 რაც უნდა ჩვეული იყოს, ადამიანი ძნელია, ახალს
 უსირცხვილობს რო იდენს! რაც უნდა დაჯაზნებუ-
 ლი ყავდეს ინდისი ადამიანის ავ განზრახვებსა
 და ბოროტ საქმეებს ის მკრთალად მაინც იჩენს ხოლომ
 თავს.

— მოდი ერთი დედას შევაგინებ იმ რედა-
 ქტორს! ჩაილაპარაკა მან და კალამიც მოიშარჯვა;
 მაგრამ ისევ უკუ ავლო ეს ახირებული განზრახვა!..

— განა რა რედაქტორის ბრალია? მაშ მოდი
 კორესპონდენტს შევაგინებ! არა, ან კორესპონ-

დენტი რა შეაშია?! მე წაშალი გავაკეთე და მან გაზეთში ჩასწერა. ცხადია მე რომ არ გამეკეთებია ის ვერ ჩასწერდა!..

დიდხანს მსჯელობდა და ებრძოდა თავის თავს პატივცემული პროვიზორი, მაგრამ ბოლოს სძლია მოზღვავებულმა გრძნობამ საღდაც მიკუნჭულებულ სინდისს და პროვიზორის კალამმა რუსულ ჰანგზე დაიწყო წრიბინი.

—ეს ჩ ნებულია! დიახ ეს სწორეთ ჩინებულია! კების შებრუნება სწორეთ ამას ქვია. შე კაი კაცო, პოლიცია თუ არა გწამს, მაშ არც იმის პროტოკოლი უნდა დააჯერო და თუ გწამს მაშ შენც პოლიციელი ყოფილხარ! Вот это понимаю! არა, კარგ დროს კი გამოამდგა ეს პოლიცია, არა? აი დაუესვამ ასეთ კითხვას: 1) Давно ли ваша редакция стала руководствоваться полицейскими протоколами для выяснения истины? მეთქი. ნეტუე რას მიპასუხებენ ამაზე?

პროვიზორმა ეშმაკურათ ჩაიცინა და მალაზიაში შემოსულ მუშტარს დააკერდა.

—ოოოჰ, ძნელია, ძნელი ჩვენი, პროვიზორების საქმე! ვინც ვინდა ჩვენზე მოდის იერიშით, მაგრამ არც ჩვენ დაგვებდებით ურიგოთ!

მან ერთხელ კიდევ ჩაიცინა და კვალად ააწრიბინა კალამი!

—მეც, მაგრამ თქვენც! ჩაილაპარაკა მან, ხელ მეორეთ წაიკითხა თავისი გონების სურნელოვანი ნაყოფი, ჩადო კონვერტში, დააწერა ზედ აღრესი „მოამეღის“ რედაქციისა და გავიდა ქუჩაში.

„მასკა“

მომეცი წელი

ვღგვერ გაუვალ ეკლიან გზაზე, ვკაფავ და ვკაფავ, მიჭირავს ცელი. შენც, მეგობარო, გთხოვ მომეხმარო, გვერდში მომიდექ, მომეცი წელი!

ვცდილობ ამოვფხრა დედამიწიდან ღრმათ რომ გაუღდამს ფესვები გრძელი, შენც, მეგობარო, მედგრათ იბრძოლე, გვერდში მომიდექ, მომეცი წელი!

მსურს დავანგრეო ფარისველთა თვალთ მაქცეუ ტაძარი, საკურთხეველი, შენც, მეგობარო, წერაქვს მიმართე, გვერდში მომიდექ, მომეცი წელი!

მსურს სარკეთ ვიქცე, ავაზაკებსა ვაჩვენო მათი ცრუ საქციელი, შენც, მეგობარო, ასე მოიქცე, გვერდში მომიდექ, მომეცი წელი!

მსურს დავიძახო, რომ ჩვენშიც არის ოქრო-ვერცხლზედა ძმის გამყიდველი,


შენც, მეგობარო, ხმა ამოილე, გვერდში მომიდექ, მომეცი წელი!

გამრავლდა ჩვენში კამისიები ღარიბ-ლატაკთა მყვლეფავ მძარცველი, შენც, მეგობარო, მათ არ მიჰბაძო, გვერდში მომიდექ, მომეცი წელი!

თუმც ციხე-ციმბირს, თოქსა და ტყვიას მსხვერპლად შესწირეს სიმართლის მთქმელი, შენც, მეგობარო, გწამდეს სიმართლე, გვერდში მომიდექ, მომეცი წელი!

მაგრამ ამ დროში ერთგულ მეგობარს ძნელად ევაზენი, ამაოთველი, შენც, მეგობარო, ექვით გიყურებ გვერდშიც რომ მიდგე და მომეცი წელი.

ა. განჯის-კარელი.



ორი ეძმაკი.

„ვაგონის გასინჯვა.“

მეორე. ამბობენ ტრამვაის ასეთი ვაგონები ჯერ დედა მიწის ზურგზე არავის უნახავსო.

პირვე. სამას სამოც და ხუთ წმინდა გიორგიზე დაეფიციებ, რომ ეს მართლაც განსხვავებული რამეა არა თუ თვლილის ტრამვაის ცხოვრებაში, არამედ, თვე ტრამვაის ისტორიაშიაც.

მეორე. კარგათ გასინჯეთ?

პირვე. რა?

მეორე. როგორ თუ რა! რა ვიცი, გასასინჯი კიდევ რა ქონდათ?

ზარგ. როგორ ხამივით ღაპარაკობ, შე დალოცვილო. გასასიხვავი ვანა მარტო ვაგონი გვქონდა? პირიქით, ვაგონის გასინჯისთვის იქ ბევრს არ გაუცხებლენია თავი.

შეორე. მაშ რა ჯანაბას სინჯავდით რომ არ ვიცი?

ზარგ. ვაგონით შე მამაცხონებულლო მხოლოდ ერეენის მოედანიდან „გავიკავავეთ“, თორემ ტრამვაის პარკში ჩვენ სულ სხვა საქმე მიგველოდა.

შეორე. მერე რა ჯანაბა საქმე იყო აღარ იტყვი?

ზარგ. საქმე იქ იყო, თორემ ვაგონი რა, ეს ჩვეულებრივი ვაგონია, რომელსაც ერთი მხარე უფრო უკეთ აქვს შეღობილი ვიდრე „ძველი“ სისტემის ვაგონებს.

შეორე. ეს კარგი, მაგრამ იქ სხვა რაღა გავაკეთეთ?

ზარგ. რა გავაკეთეთ და ის, რასაც ქვეყანა აკეთებს, როცა ერთ ქირს მორჩება ხოლმე.

შეორე. თქვი, კაცო, ნუ ვაღამიყოლე.

ზარგ. ნუ თუ იმასაც თქმა უნდა რას გავაკეთებდით? რა გავაკეთეთ და ჩავლიეთ, ვახტანგურათ ჩავლიეთ!

შეორე. ჩალიეთ? რა ჩალიეთ? რისთვის ჩალიეთ?

ზარგ. ა გიყი! რას ჩავლევდით ახლა ამაზედაც ლექციის კითხვა გინდა? ჩავლიეთ, ჩაი, ღვინო და სხვა მრავალი ამისთანაობა.

შეორე. ბევრი დაგხვარჯა?

ზარგ. ვის?

შეორე. ვისა და შენ, ან კიდევ სხვა სტუმრებს?

ზარგ. რა?

შეორე. ა, გიყი! რა დაგხვარჯებოდა თუ არ ფული? ახლა ამაზედაც ლექციის კითხვა გჭირია?

ზარგ. რას ამბობ კაცო, შენ ვერ წარმოიდგენ რა ხელუხეი კაცი, რა ქველმოქმედი ადამიანი, რა სტუმართ-მოყვარე არსი ყოფილა ეს ტრამვის რედაქტორი!

შეორე. რომელი ტრამვის რედაქტორი კაცო?

ზარგ. ეპროგორ დავიბენი, სულ რედაქტორი მხსოვს, დირექტორი კაცო, დირექტორი. როცა უნდა და საცა უნდა ხელის მოჭერა და ყაირათიც იცის, მაგრამ ქეთვის დროს სუფრაც ჩინებული სკოდნია. აფსუს რომ ის ბელგიელათ გაუჩენია ღმერთს და არა ქართველათ.

შეორე. სტუმრები ბევრნი იყვენ?

ზარგ. რას ამბობ კაცო! მეზობლებიც ბევრი ყავდა და გარეშენიც ბლომათ. აღმინსტრაცია, ქალაქის წარმომადგენლობა, პრესსა და...

შეორე. კარგი ერთი მამა გიცხონდება? პრესსა იქ ვინ მიაშეებდა?

ზარგ. რა კი ვამბობ იყო მეთქი, ზნაჩიტ იყო. ისეთი მეშინოდა, ისეთი მეშინოდა, სულ ვანკალ-ვცახცახებდი.

შეორე. მერე რამ შეგაშინა?

ზარგ. როგორ თუ რამ, გიორგი ამირაჯიბი და ხეიატუროვი ერთად ისხდნენ. კიდევ კარგი, რომ საქმელი ბლომით იყო და როგორც ერთის პირს, ისე

მეორის ხელებს საქმე ქონდათ, თორემ იცოცხლე იქ საქმე აღებოდა.

შეორე. ისინი ალბათ განცხადების სათხოვრათ იქნებოდნენ მოსულნი, არა?

ზარგ. მართალი ვითხრა იქ ამის მსგავსი არაფერი გაუშვლიათ და გულში რას ფიქრობდნენ არ ვიცი. შესანიშნავი თამადა გამოდგა ბ.ნი ხატისოვი.

„გადაჰკრეს და საღღერძებლო, სათითაოთ გააჩინეს, სამადლობლოს საფეს სვამდნენ, წვეთიც არვის შეარჩინეს“

ამან დირექტორიც გაახალისა. სუფრას თავზე არ გადმოხტომია, მაგრამ, ისე კი ხტოდა.

შეორე. მუშები რას შევბოდნენ?

ზარგ. ვიინ?

შეორე. მუშები, ტრამვის მუშები.

ზარგ. მუშები... ჰმ!

„მასკა“



მესტვირული. (მათუმი ათვის)

თავზე თმა აღარ მეძევა მე შავი ერთი ღეროო,— სიბერე შემომეპარა ბოლო დროს ეგ ოხერიო; მარა გულს მაინც არ ვიტყხ, ამით ვარ ბელნიერიო. დავალ ბოგანო, ეული ვთა მწირი ვინმე ბერიო, დიღია მხელთა სამყარო,

გრძელი და განიერიო.
 დათმე ამ ქვეყნის განცბრომა,
 სიამე ეამიერიო,
 ვაუტანელი სოფელი,
 მისი ამყოლი ერიო,
 აღარ მსურს ვულის საკლავად
 მე იმ ფერხულში ვერიო,
 მეგობართა მყავს ქამანჩა,
 — ეგ გულა გასაბერიო,
 სტვირი სულ ხელში მიჭირავს
 მე განზე გასაღერიო,
 და ოდეს სევდა მეწვევა
 ვუკრავ და თანაც ვმღერიო.
 დღეს მსურს ბათუმი შევამყო,
 ბუნებით მშვენიერიო,
 დაუკარ ჩემო ქამანჩავ,
 პარალი. ჰერი, ერიო!
 ვისაც გაქვს გამოცდილება
 და ჰკუა შესაფერიო,
 მოდით და ნახეთ სვირი
 ასერილა მონასტერიო.
 მამა შვილს ველარ განიცდის,
 შვილია მამის მტერიო,
 გუშინდელ მოყვრებს მოსვლია
 დღეს შუღლი გასაშტერიო,
 ერთმანეთს განზე უბღვეგრენ,
 მუშტებით მონადერიო.
 (ცოტა მიკლია ამათში
 მოზავეთ ჩამოვერიო).
 „უპრავა“ გაზეთს უბირებს
 ზურგზე ადინოს მტკერიო,
 მუქარით დაუფაფხურა: —
 რატომ ხარ აგრე შტერიო!
 რაც შეგჩნა იმის წყალობით,
 რომ გაძევს პალმის ფერიო
 ზრდილობა აღარ გივარვა,
 კილო—სულ არაფერიო,
 აზრი გაქვს „ქეშმარიტული“
 პალმისვე მონაბერიო.
 გაზეთმა შემოუთვალა:
 მომპაემ ნეკის წვერიო
 (ასე წერია წერილში
 მე ვნახე დანაწერიო)
 გინდა გავსრისო, ვით ბუზი,
 ან მცირე რამე მწერიო?
 ვის ემუქრები თუ იცო,
 სად თეკლე, სად თეფერიო,
 ადექ, დასცალე სკამები,
 გასწი და წაეთერიო



ცხოვრება ზრთენციის
 სმითხის მისდართა:
 ჭირისუფლები გამოსდენ
 ათი-ათასი გვარია!
 არავის აძლევს გასაქანს
 მათი მათრახის ტარია,
 სულეოფელ დარგში ერთგვარად
 მონაქნეგ-მონაგვარია.
 აი აქ, ხაღხს ქრისტიანს
 (გურამი რომ არა)
 მოსწყინდა ტაძრად ვლინება
 და ეკლესიის კარია.
 იქ სუცი ეგულებოდა,
 ცხოვრების გამაშვარია,
 ვინც ღრამისა ქანქარათვის
 დღე გაუთენა მწარია,
 მაგრამ უხვი იყოს სთეულს
 მაჭმადანთა ჯარია,
 და ნახეთ სავერეგლებს
 სსწყაულთ მისდართა.
 რომ მაჭმადის მლოცველნი
 ბედაურ ცხენთა მუდარნია,
 მირეკენ ხაღხს იქითაკენ
 სდ ეკლესიის კარია,
 სდა შეხედებთ მოძღვარი
 მთ სხე მომდიმარია,
 მათრახის კუდი მლოცველნი
 სუდარში მინაგვარია
 ღრამის ფულის გარეშე
 სხვაც კენეს მონაგარია.

ალო.

ფართე ფრაზები გეძევთ
 ენაზე დასაკერიო,
 საქმით კი მოკლე ბრძანდებით,
 ვით პოლკის იუნკერიო,
 ბათუმში გავგიმრავლენით
 უსახლო და უკერიო,
 ნუ ფიქრობ უსაქმოები

ვერ გსძლიო, ვერ მოვერიო,
 გაჩვენებ, თქვენისთანები,
 მე როგორ მოვიგერიო.
 პარმენ ყენი გეყოფათ,
 ეს თქვენი „ყველაფერიო“
 თქვენ რა ხართ, ის რა იქნება,
 — თქვენივე შესაფერიო —
 ადრე გაჩვენებ მაგ ბატონს,
 შევარბენინო სერიო,
 ზურგზე წყულულები სტკივოდეს
 მათრახით დანასერიო

და თუ მიმტყუნოს ქადილმა
 მომქართი ეგ კისერიო.

ესეთი ლანძღვა გინების
 არ მქონდა წარმოდგენაო

(მაგრამ რას იხამ თუ კაცმა
 წამოიგრძელა ენაო)

არც მოთმინება დამირჩა,
 მე ცოდვილს ამოდენაო.

და იგი ჩემი მათრახი,
 ოჰ, ღმერთმა ააშენაო)

ვეუსხუნე ქვედა ნაწილზე,
 იქ ვაგრძნობინე ტყენაო.

მლანძღავი შევაწმაწურე,
 ვლთხარ: თავხედობ შენაო
 ამდენი ლანძღვა-გინებით
 წაიღე ყურთა სმენაო.

თუ რომ „უბრადა“, სცდებოდა, —
 ქურდები „ჩააყენაო“

მარშანც იცოდი ეს კარგად
 დღეს რაღამ გაგახსენაო?

მაშინ კი არას ამბობდი,
 არ გასურდა მათი წყენაო!

და როცა შეგმა დაიწყო
 თქვენ შუა, კატამ, რბენაო,

მაშინ დაცქვიტეთ ყურები,
 იწყეთ უკბილო კბენაო.

მწერლური არის საჭირო
 კილო და მისი ენაო

თორემ არ გარგებს ბრძოლაში,
 შენ მარტო, ურქო რქენაო.

თუ რამე მქონდა სათქმელი
 ვერ დავასრულე ყველაო,

გულდას რომ სული ეთარვის
 იჩუტვის ნელა ნელაო,

მისი ამდენი ბერვითა
 დამაწყებია ხველაო,

წყალი ცხვი, არა მიშველა,
 ყელი არ გაამსველაო,

ამიტომ ჩემი შაირიც
 შევწყიტე ხელ და ხელაო.

მოგლი გროვი

(სარეაქტორი სტაზარო)

ერთ უღაბურ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ
 ბეჭე სწერდენ ნახშირითა, სცხოვრებდა ერთი ცხრა
 თავიანი დევი. ერთ მშვენიერ დღეს დევა დაინა-
 ხა პატარა ბავშვი, რომელიც გაქირვებით ხატავდა
 რალაცას ნახშირითა, შეეცოდვა და განიზრახა: მე
 დღეიდან უთუოდ ხალხისთვის რაიმე საწერი ნივთი
 მოვიგონაო. აფიქრა და კადვევც აასრულა. დაი-
 ქირა ერთი ცხვარი და გადევც აასრულა. ხორცი ხორ-
 ცად მოიხმარა, ხოლო ტყავისაგან გამოსქრა ოთხ-
 კუთხი, რომელზედაც დასწერა თავისი ახალ-გამო-
 გონება და დაარჩა ხალხში. ხალხი აღტაცებაში
 გაიყენა ამ ამბავსა და მადლიერი იხსენიებდა დღეს.

ასე მოიგონეს თურმე ძველის-ძველთა გაზეთა.

მას შემდეგ ძლიერ დიდი ხანი გავდა. მაუკა
 დაიზარდენ, მდინარეები და ზღვები დაშრენ, ტუ-
 ები გაჩანადგენ და ხალხიც გადატყდა. დროთა ვი-
 თარებისა გამო, რასაკვირველია გაზეთებშიც იცვა-
 ლეს ფერი. ტყავის ნაცვლად მოაკონეს ქაღალდი
 და ნახშირის მაგიერ ათას გვარი საღებავები!

გამოჩნდენ მრავალი თავ-დადებულნი პირნი,
 რომელნიც არ ზოგავდენ არც ძალას, არც ქონე-
 ბას (უმთავრესათ სხვისას) რომ ხალხისთვის ბევრი
 და კარგი ამბავი მიეწოდებიათ. ასეთ თავდადებულ
 პირებს მაშინაც რედაქტორებს ემახოდენ და უზო-
 მო პატივს სცემდენ. რედაქტორებიც აღარაფერს
 ზოგავდენ, ღამის თორმეტ საათამდე იხსდენ, ქირის
 ოფლში იწურებოდენ. ერთი უბრალო ცნობა, დი-
 ლიდან დალაქებამდე მომხდარი, მათ ყურს არ გა-
 მოვებარებოდა, უთუოდ დაიქერდენ, ქაღალდზე
 გადახატავდენ, მერე მაშინაში ჩაადგებდენ და ხალხს
 უგზავნიდენ.

ხალხის აღტაცებასაც საზღვარი არა ჰქონდა
 და გაზეთებისადმი ინტერესი ასკვედებოდა. ამ გ-
 რემოებამ ბევრი ხალხი მიიზიდა რედაქტორისადმი
 და ერთობ გამრავლდა გაზეთთა რიცხოვნობა.
 რედაქტორები ერთი-მეორეს ეჯიბრებოდენ, ერთი
 მეორეს ხელიდან სჯაცებდენ ახალსა და საყურად-
 ლებო ამბებს, რომ ამით თავისი გაზეთი გაეუშჯო-
 ბესებინათ და მკითხველი საზოგადოება მოეხვეჭათ.
 ღამეებს ათენებდენ, დღეებს ღამებდენ, ათასგვარ
 ჯურღმულებში დაძვრებოდენ და ამგვარათ გაქირ-
 ვებით აუშჯობდებდენ თავის ორგანოთა (ამ ჩანებ-
 ში გაზეთების ორგანო დაერქვა) შინაარსს. მიჯნე-
 დავით ამისა, რაც ხანი გადიოდა გაზეთ-ორგანოთა
 რიცხვი თანდათან მრავლდებოდა, მკითხველთა ყუ-
 რადღება ივანტებოდა და რედაქტორები ხშირ ხა

რალს განიციდინენ. ბევრი მათგანი სრულიად შეე-
ლია შკითხველებს, გაკატრდა და მწარე საგონე-
ბელში ჩაეარდა. არსით იმედი არსით ნუეეშ!

მაგრამ! „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა
მისგან განაჩენსა!“

ამ ვაჭივრების დროს ერთ რედაქტორს მოუ-
ვიდა ჩინებული აზრი. ხომ გავიგონით: „ვაჭივრე-
ბა საუკეთესო მასწავლებელია“-ო ერთ მშვენიერ
დღეს, მან თავისი ვაჭეთი ადრე დაამზადა და მეო-
რე დღის მავივრათ იმავ საღამოს გამოუშვა. ოჰ
საკვირველებავ? ხალხს ჯერ არ ენახა ხვალინდელი
დღე წინ, სადღეისოთ გადმოტანილი ჯა ბუზივით
დაედვა მოხერხებული რედაქტორის ვაჭეთს. და გა-
ნა ვის არ დაინტერესებს სახელოო ამბის დღეს
(თუნდა საღამოთი) გავება. ხერხმა გასჭრა და ხერ-
ხიანი რედაქტორის ორგანო უცებ მოღონიერდა.

მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია! სხვა რედა-
ქტორებმა კარგა ხანი უყურეს ამ ამბავს და ბო-
ლოს, საშინელი მომავლის შიშით, თითონაც ერთი
დღით ადრე გაათენეს. უცხო, გაუნათლებელი ქვეყ-
ნის ხალხი გოაცებით შეჭყურებდა ამ ამბავს და
ვერ წარმოედგინა როგორ შეიძლება ერთი დღით
ადრე გათენება. ჯერ კიდევ მზე შუბის ჭარზე არ
იყო დასული, რომ ვაჭეთის გამყიდველები ხმა მალ-
ლა გაჰკიოდენ:

— იყიდეთ ხვალინდელი ვაჭეთი, იყიდეთ და
გაიგეთ რა მოხდება ხვალაო.

ამ გარემოებამ გზა გაუხსნა გამომგონს. იმან
უფრო განაფითარა თავისი მახვილი გამოგონება და
საღამოს ნაცულად ვაჭეთი დღითვე გამოუშვა,
მაგრამ ერთი დღის შემდეგ ყველა მიმბაძველი გა-
უხდა. ან სიკვდილი და ან სხვისი მოსწრება! ასე-
თი მწვევე საკითხი დაუდგა იმ ქვეყნის ვაჭეთებს და
მართლაც გაჯიბრებამ უმაღლეს წერტილამდე მიად-
წია. ჯერ გამოსცეს ვაჭეთები სახელოო დღეს,
შემდეგ სახეგო და ბოლოს შაბათის ნომერს ორ-
შაბათს ბეჭდავენ.

ამან რასაკვირველია დიდი ზარალი მიაყენა,
როგორც რედაქტორებს, აგრეთვე მყიდველებსაც,
რადგან ვაჭეთის შინაარსს ყურადღებას აღარავენ
აქცევდა და მთელი ყურადღება მარტოც და მხო-
ლოდ.

ობოლი გროშისაკენ

იყო მიქცეული. დავცა მწვერობის საქმე და გან-
ვითარდა მხოლოდ ჩარჩობა. ასე გავრძელდა დიდ-
ხანს. ბოლოს ერთმა მღვე რედაქტორმა კიდევ ითა-
ვა საქვეყნო საქმე.

მან მოიწვია ყველა მშვიერ-მადღარი რედაქტო-
რები და უთხრა: „ძმებო! ჩვენ თითონ ვიდუბავთ

თავის თავს. ერთი და ორი დღით ადრე გათენება
ჩვენ ერთი და ორი დღით ადრე მოგვიდებს ბო-
ლოს. ამიტომ ვიფიქროთ და იქნებ უკეთესი რამ
წამალი მოვიგონოთო.

რედაქტორები მწარეთ ჩაფიქრდენ და ჯერაც
ისე სხედან: ქირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა,
ფეკილი აქა.

ეშმაკი ბებია.

ქისტკარული.

(გვძღვნი ფოთელის)

ჩავბერე ჩემსა გულასა,
ავალიონე სტვირია,
კარ და კარ დავალ და ვუმღერ
ვის რავად ჰიმნზე სკირია.
მიდგომით არვის ვუდგები,
არ გამიშვავდეს პირია,
თუნდ იყოს ქვეყნის პატრონი,
თუნდ უებარი გმირია,
თუნდ ბერი, თუნდა მოძღვარი,
თუნდ ვაჭრუკანა ტირია,
თუნდ ამხანაგი, ჩემსავით
ბედისგან განაწირია.

სიავეს ვებძვი, გულთ მსურს
რომ ამოვუგლო ძირია,
და არად ვიმჩნევ ამიტომ
თუნდ რა დამატყდეს ქირია.
მაშ წინასწარი მილოცვა
ჯაველიძესა სკირია
და „ნოსის“ ჩაიმსქანაში*)
დატანჯულ — დანატირია.
მარს უჭერს გეროსიმი,
(მისი მეორე პირია)
ამ სასახელო საქმიანთვის
ადრიან დანაპირია.
ძალეხსაც კრებენ ცრიშად,
საქმე დიდ-გასაკვირია,
კამეჩი მთავარ-სარდლოთ ყავთ
და შესაყირედ ვირია.
საცვა ბრძოლაც ატყდება,
შეკოქმანდება მთა-ბარი
ანაფორიანთ ზღუდენში
მთლად აირვეა დავთარი.
პირველ ერმალო გამოვა,
მეორედ მის მეგობარი

*) „ნოსის“ ქართულათ ცხვირს ნიშნავს, ხოლო „ნოს-
სის“ ჩაიმსქანა, ალბ თ ცხვირის ჩამოშვებას მოასწავებს.

და ზოლოს ბრძოლის საქმეში
კარგათ გარწონილი ლაშქარი.
და გადაწყდება საკითხი
ანაფორიან დევისა,
რომელიც ღირსი გამხდარა
ერმალოს კრულვა-წყევლისა
ჰე მაშინ ნახეთ სიერი
მღვდელ-ღიაკონთა რვეისა,
რომელი ავა ტახტზედან,
ან თუ ვინ დაიძლევისა.

ჩვენ კი, ვთქვათ, სტიკირო ერთ ულო,
რომ მათზე ყველა ახია,
რომ მეომარნი ამგვარნი
უეპველ ჰკუა მკვახია.
და თუ კი ვინმემ გაბედოს
ჩვენი გმობა და ძრახია,
მკლავ-მარჯვეთ გადაუჭიროთ
„ეშმაკის“ მწვე მათრახია.

აჲ კი ვოლდემარს, მეგობარს
ვკითხოთ: რა გადაჰკიდია,
რომ ქვას და გუნდას ესვრიან
ყველა, პატარა, დიდი?
რომ ფოთის იუპიტერნი
გამწყურალან, გაბრაზებულან
და ძენი განცხრომისანი
სასტიკათ ამხედრებულან?

ნუ თუ „ეშმაკის მათრახმა“
აუწვიათ ზურგის კანია
და ძალზე დაუყვადა
ჩასუქებული ტანია?
მამა უცხონდა!!! მაგვვარებს
სჭიროდათ დიდი ხანია...
მხოლოდ მაოცებს მათ მსახურთ
ქეჩო რამ მოაფხანია?
რომ ქუჩა-ქუჩა დადიან
მუდამ გულ-შემოყრილები
და ვოლდემარის სამტროთა
დაუღრუქენიათ კბილები?
ვანა სწყენია ბატონებს
რომ ღირსეულათ ჰკადრესა
და მათ კი მცირეოდენი
წილიც კი აღარ არგეს?
რად აუჩქარდენ... ვოლდემარს
ნუბიც შესწევს და ღონეცა,
რომ რივიანად გაცოცხოს
ამგვარი ზრახვის მქონეცა.
და სამღერავეი მერმედ ხომ
აღარ ექნებათ შეტია...
მაშ ის არა სჯობს დამშვიდდენ

და დაიწყნარონ რეტია?

ზარატუსტრასაც შევკითხოთ:
რა დამართვია ნეტავი,
დღეს-ხვალ რომ სამსახურიდან
გამომშრალდება ბედ-შავი?
ნუ თუ „ობშესტის“ შპიკებმა
„რუსეთში“ რომა ბუღობენ
უფროსთა საკეთილ-ღღეოთ
მუდმივ მელიის კუღობენ,
მათ გამოაწყევს ეგ საქმე
დიდხნით რომ მოაგორებენ
(არ საიმედო ელემენტს
თავიდან მოიშორებენ?)

კეთილი, ამგვარ ყმაწვილებს
სხვა რაღა მოეთხოვება,
გარემოება ხელს უწყობთ,
დღეს იმათია ღრობა.
მაგრამ ღროთ ცვალებადობა
ხომ ცხოვრებისა წესია?
და მაშინ ყველა მოიმკის
რაც წინათ დაუთესია.

ტლინკაძე.

მოკითხვის სხტარი მშმაკისხადმი.

ეშმაკოჯან, ნოიგონე
მეგობარო უტუო,
რაც მოგწერა სულ სიმართლემ,
ერთიც არ მოგატუო.
ეხლაც სმენა—მიაპყრო
წაიკითხე უსტარიო.
ზოგს ეტკიბოს, ზოგს ემწვავოს
ისე, როგორც ისარიო.

ბიძა ეშმაკო! ასე დავამარსსეკდა ლესურედან
კვლავ ვიღტოდი ჰალაქ ოსურგეთში. ბაზარში დიდი ბა-
ზრება იყო. აუარება ხაღის მოყვარს თავი. გაშიდგე-
ლი ბეუნი წნდა, შეიდგული კი არაყინი. მოყესენებს შეს
ეშმაკეუღობას წრეკანდელი სიმცირე მისაყლისა, მაგრამ
ბაზარი მანტ სავსე იყო სიმინდითა, დომითა, ქუაღითა,
ღვინითა, ქათმითა, დორ-გაჭითა, ძრფხა-ხარითა, ჯარ-
ტითა, ფიდრითა, სპინითა, ბაღაშითა, ქებათა, „კარდ-
ღითა“, ქაშრითა წყლსე სრტეკათა, შკერის წენღითა,
შეშითა და ყოფლის ოფღით მონაგარითა. და იყო სიასე
გასაოცარ ყოველთა, მაგრამ არაყინ იყო შეიდგული.
ძრეულ გამიგვირდა! ხაღი, რომელიც ქინასხულის სიმ-
ცირის გამო, მოჰლის აუცილებლად შამშალს, რატომ
ეიდის ასე ზღის ფასთა ყოველივეს შეთქი. მინდოდა
გამეკა მიზუნი, რისთვისაც მიუშარე სიმინდის ერთს
გამიუღველს, ფრიალ დადგრემიდს და ჩამთინიდს (ესე
იგი ჩავსეკილს).

— რეისა ვიდი, ძამაჲ, ასე იეფათ სიმინდს? (ფუოს შვიდშურათ) ძან ბეერი მოგივიდა არა?

— ისე გამოგვიფინხს მტერის ოჯახი, რაჲც მე კელა ხალივი გამუქანვიდე! სა იყო ძმუხ ვასაჲიდი უბას ხომ არ მიქნევე? ბანდებს ზირში ლუგას ამჲართვი და ვასაჲიდი წამევიდე, მარა ხომ კავიგონია „შექდე-ული ზერი, ძალდმა არ უსაზო...“ სიორთას ნაქურთელაის ფასთ ვვიდი, მარა მუშტარი მაინც არავინ არის. ერთი „ფის მერე, ძალა რომ შვიდ შურათ ვვიდი ექვს აზა-ხათ უნდა ვივიდო. მარა რა გქნა ვასაჲიდი კანც რას არ აქნიებს...

— რა იყო, რა მოგივიდა?

— შენ ვინცხ ხარ ჭურში ხომ არ იუვი? ვერ უკ-იტევე რა კვილი-ხვიილი იყო, მიკლი სიფელი რომ შეიძრა ტუეის გუელაჲ და „ჩეი მას“ ძახილი რომ იყო მეთრე ამისხანი ვასაჲიდი კავიგონია ძე-სორდიელს არ ახსოვს.... კანცე ტუეში ვიკავით შეშა, ამ დროს შემეხიეინ სო-ფელს, ადამის წლის დროინდელი ედონეკაჲიფიდა, ზ-გზე სამი, ზოგზე შვიდი თუმიანი და მეტიც. წეუფსნეს ქალები და ქე უაერ დამწეველელი შინ, ბანდები ივლაჲერ ოჯეს, ძუქვის ნაწევეტი ფეხებს აფახსნეს; ნენა მინდა

ნეაო. ტირილს რო უურო თათარ და ურას შეეწე-ლებს მიფხანაკე-მოფხანაკე რაჲ მქონდა იმისთახი, რომ ვასაჲიდი, ვეკლავური ჩამეოტანე მარა ეოლიკანს რომ ჩემსავით უქარს, ვინ ივიდის? სჲენ შეშას ექვს მას-თად ვვიდი, მუშტარი მაინც ვერ ვიშინე. ამფერ სისტო-ცხლეკაც კი რა უქარა... ჩვენი კამეთისხეი არაკანია.

სხეებსაც ვამეოტათე მიხეში და ვეკლავ მისი მსკავისი გამეოტარა... — დადონებული სხანასკეთის გავ-შორდი და ქეხაში ვაკედი. გზაჲე ერთი ნადემატანხი (კბილებ და გვერდებ ჩამტერული) შემხვდა — ამავი შეეკითხე თუ როგორ წევიდა მათი სანეერის სჲე. სჲემ მშეუნიერთა, სმავალითთ წევიკანეთ, ვეკლავ ვას-ლასხელებს და შეკანებულეკმა ვეკლავური ვეკანეთო. ზიხლით ვავშორდი ამ იბისი მითმინებით სჲესე ვა-ქეილ „მოქალაქეს“ და მოქალაქეს შეევევი; გზაჲე თჲე ზირ მტერული, სიცილ-ხანხანით და სიმღერით სამოქალაქო სეოლის მოქაფენი შობობდენ. დიდი ხანია მხიარულათ არავინ ენახ ამ სეოლის მოქაფენი. ძრეილ ვამევიდნა, მინდადა მათი მხიარულეების მიხეკი ვაკე, ო.

თურმე ნუ იტევი ბეშეკე ინსექტორის ინკი-დენტს დეკსასწეულობდენ.

შენი უდრის მოტიქული უტუე?



ნაილუბი ეშხანოსადი

მოხსენება სამტრედიიდან.

I ნოემბერი საისტორიო დღეა სამტრედიელ-თათვის; მეცნიერ-ისტორიკოსნი ოქროს ასოებით აღნიშნავენ ამ დღეს. სამტრედიას წინდაწინვე და-ეტყო სადღესასწაულო ელფერი. ყოველგან ფაცა-ფუცი, საქმიანობა; ვაჭრები მეტის სიამოვნებით სა-დღესასწაულოთ ეშხანდობდენ.

ინტელიგენტთა და მასწავლებელთა თავადე-ბა-უანგარობის აწერას ხომ ვერ შეხსლებს ჩემი სუსტი კალმის წერი. ყველანი სადღესასწაულოთ მორთულნი 2—5 კაკარიან ქულებით, ქუჩებში და-ფუსფუსებდენ. შეიძლება მოთმინებაც არ გეყოთ თქვენო უეშხაკეულესობაჲ, რომ არ ვამბობ ამდენ

ხანს, თუ რამ გამოიწვია ასეთი არა ჩვეულებრივი აშხავი სამტრედიასი. იქონიეთ ცოტაოდენი მოთ-მინება! ამ დღეს ხონის გზით გვეწვია კაკასიის! ს-მოსწავლეთ ოჯახის მხრუნეკი ბ. რეალოფი. მეც სხვებს აბა რით ჩამოუვარდებოდი?! საზაშორთ გა-მოვეწევე, თავზე სამ კაკარიანი ქული დავიხურე და ხელში ათასჯერ ნაკურთხი ჩემი მათრახი. ვიფი-ქრე და ერთ წუთში სოფელ კულაშში ვაგნდი. სამ-წუხარით იქაურ „ცერემონიერს“ ველარ მოუსწარ. ის იყო რევიზია ვათავებია და ბ. ისაქის „ზახრა-ფუსტის“ (за христом) მედალზე წარდგენას პირიდებოდა, როგორც დამსახურებულს და უერთ-გულეს პედაგოგს შიგლს გუბერნიასი ამის შემდეგ უჩვეულო სტუმარი სამტრედიისკენ წამოვიდა. წინ მოუძლოდა რამდენიმე ათეული „სტრანეიცების“, მისთვის, რომ ვინმე თავზე ხელ აღებულ ვაჭბა-

ბატონს წესიერება არ დაერღვია. გზა და გზა პროცესის თანდათან ემატებოდა. ამ რიგით მოაღწია 2-კლასიან სასწავლებლის მახლობლათ. სკოლის დარბაზი მორთულ მოკაზმულ იყო, ვით პატარბალი კეკლეუცი, მგვრამ დახეთ უბედურებას, სკოლის ნაცვლათ არაკითხებება მებურის სახლში უკრის თავი (ალბათ ძლიერ მშვიერი ვგონათ). ამ დროსთვის საგანგებოთ არჩეული დეპუტაცია მოკრბალბით წარუდგა და შემდეგი მოახსენა:

„Господинъ попучитель, ми Самтредики жители не имѣимъ виши школа и просимъ здѣлать имѣсь четыре прогимназія и одинъ университетъ.“

— ოპო, ჩინებული მადა გავღვიძებიათ! კიდევ კარგი, რომ ეხლა მაინც ჭეშმარიტებათ მიგინწევიათ: „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა კი—სიბნელე“. მე უსაზღვროთ მოხარული ვარ თქვენი კეთილის განზრახვით, ვეცდები ყოველივე ჩვეულებრივთ შევასრულო. ამის შემდეგ ძვირფასი სტუმარი ვახშამზე მიიწვიეს. შევტყვე, რომ ყარაულები არ შემეშვედნენ, ვინაიდან საიმედობის ბარათი არ მქონდა, ამისთვის მივიღე უჩინარე სახე და დარბაზში ერთ სკამზე წამოვსკუდტი. შემოაღსხდნენ მაგიდას: ჩინოვნიკები, დელეგატები, მღვდელი, ვაჭრები და მრავალი სხვა, ერთი სიტყვით ყველა წოდების და მდგომარეობის ხალხი გაჩაღდა სადღევრძელოები და „რეჩები“. ბ. რუდოლოვისთვის რომ დაემტკიცებიათ ნამდვილი სიყვარული, მათი მამულიშვილობა და ნამდვილი სამსახური ხალხისა, მისი სადღევრძელო 7 ყანწებით („везъ капли“) რო იტყვიან სწორეთ ისე დასცალეს დალოცვილები.) სადღევრძელო დებეშა აფრინეს თფილისში მის მყოფდესთან. ცოტა ხნის შემდეგ შეხარხოშებულ სტუმრებმა ტიკტიკეს მოუმატეს. ამ დროს ბ. რუდოლოვმა დელეგატები დაითანხმა ერთ დაბალ სამკურნეო სასწავლაქოქსე, რომლისათვისაც შენობა და საქორა ადგილი შექმნილ უნდა იქნას არა უფვიანეს 35 სექტემბრისა მომავლ მყოცდაათე საუკუნეში. ასე ვთავადა ვგ საისტორიო ვახშამი და მხიარული სტუმრები ღამის 2 საათზე დაიშალნენ. მეც არა ნაკლებ ნასიამოვნები სახლისაკენ გამოუდტი.

პროვინციელი ეშმაკი.

დიდი-ჯიხიში. ძნელია ორი ღვთის საშახური და ორი გზით სიარული! ბლაღოჩინი ს. დევიძე ალბათ ამის გამო გააწყრა მრევლს, როცა ხალხმა უკეთესი გზით ისურვა მიცვალებულის გასვენება და მოძღვარმა უარესითა. შეიძლება მოძღვარი იმასაც ფიქრობდა, რომ ფაროჯ ხვას ადამიანი ჯოჯოხეთისაკენ მიყავს, ხოლო ძნელსა და საცალფეხოს, სამოთხისაკენ. ვინ იცის! აქ კი მრევლიცა და მოძღვარიც, სხვა და სხვა გზით წასულნი ეკლესიის ეზოში შეიყარნენ. ვასაკვირი აქ მხოლოდ ისაა, რომ მამა დევიძის ლოცვა-თხოვნით იქ უცებ სუთიოდ სტრატეგიც ვაჩნდა და საგრძნობელი

„მისსაქის“ შემდეგ რამოდენიმე კაცი სატუსალო-შიაც წაიყვანეს. ასე სჯის „ლმერთი“ ყველას, ვინც თავისს მოძღვარს წყალში სატყლაზუნოთ არ გაყვება ხოლომე.

ყვინჩილძე

ხენაკი. ამ წინაზე კონკურსი დაინიშნა იმის გამო, თუ ვინ იპოვიდა ჩვენს სამკითხველოს. წარმოიდგინეთ გამგებებსაც შეეშალათ ის უთვალავი „ვიცეკები“, რომელიც სამკითხველოს შენობას ჰკლია. პრიზი არავის აუღია. სამაგიეროთ მეორე გაჯიბრებამ ჩინებულთა ჩაიარა- საქმე იმაში იყო, თუ ვინ უფრო მაღალი ხმით იკითხავდა ვაჭეთს სამკითხველოს ოთახში, ან ილაპარაკებდა გარეშე რაიმე ამბავს. ამ მხრივ პირველი ხარისხის ჯილდო 7 პირმა მიიღო. ამათში 5 კაცია და 2 ქალი. მეორე ხარისხის კი თერთმეტმა, 7 კაცია და 4 ქალი.

ლანდი.

იანეთი. (ეწრის საზოგადოება) სალომეს ეხოს კარებს მუდამ დღე ურიცხვი ხალხი ახვევია. ჩვენი სოფელი ისე საშინლათ შეგნებულთა, რომ მისი ახრით ჭიშვირ-ტატლობს ქვეყანაზე წამალი არა სჯობია და ჩვენს სალომეს კიდევ ვერც ერთი ექიმი. წარმოიდგინე მათი კეთილ-გონიერება: ადგილობრივ ქსენონში ექიმის დახმარება და წამალი მეთხედ ფასათ ეძლევათ, მაგრამ სალომეს მოთხოთხებულ ჭიშვირ-ტატლობს აბა რა წამალი უნდა სჯობდეს.

ონწარო.

სიმონეთი. ჩვენს სოფელში აღმოაჩინეს ახალი ჯიში სოფლის „ინტელიგენციისა.“ პროფესიის მიხედვით მათ „მოხეტიალე დემოკრატებს“ ეძახიან. ისინი ღღინა-ღღინან გზა-გზა დაყალიბდნენ, „გონებენ“ ახალ-ახალ ტერმინებს ღანძღვისას და აგრეთვე ახალ-ახალ გასართობებს. მაგალითად გზაზე გაჩერებული ჟრმის გადაბრუნებას, გზიდან გადავდებას და სხვ. ხალხი მათზე დიდ იმედებს ამყარებს. უარესი რაიმე, არც ადგილობრივ „დამცველებზე“ ითქმის.

ყაყაბი,

მათხოჯი. მათხოჯი სიგრძე-სიგანით

ორი და სამი ვერსია, მაგრამ სათქვენო გვაგებო ზომაზე უმეტესია. აი თუნდ მამა მოძღვარი სკოლათა გამგებელია, მაგრამ ქანქარზე მეტს ფიქრობს, იქით მიუბრბის ხელია. ითხოვა, ვარი მიიღო. აღარ ასვენებს ჟინია და საქალბეო სკოლისა დახურვა დაუყენია. სხვები მას კულში მისდევნენ, როგორც ღაჭუვა ღეჭია, უსირცხვილ ბანსა ეტყვიან

უწოდ კბილ დანაკრეპია.
შესთხოვენ ჟორდანისა,
წმინდა თედორეთ ხმობილსა,
რომ მან მოწყალებ თვალებით
მოხედოს სოფელს ცოდვილს,
დაჩხირ-მოტეხალი.

ხაშური. სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყო პატრიარქულ საზოგადოებას. ღიდი ხნის მძიმე ავთომოფობის შემდეგ ვარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ყმაწვილი „კონდუქტორების პროფესიონალურ კავშირათ“ წოდებული. მიცვალებულის მოკეთეი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამ ამბავს ნათესავთა და ნაცნობთ. დაკრძალვან მას 17 ნოემბერს, ხოლო მანამდე ყოველ საღამოს მოიხსენიებენ განსვენებულის სახელს ერთ-ერთ ადგილობრივ სამიკიტროში.

ახლად გაეშმაკეული.

ნრგოიი. სწავლა-განათლების საქმე დღეს ნაბიჯით მიიწევს წინ. ვინაიდან ძველი სკოლის შეინება საკმარის არ დარჩა, განიზრახეს მისი გადიდება. „ამშენებელი“ ვეკილები ენერგიულათ მოქმედებენ. ვინაიდან „პატრიარქულ“ იღლიანეს სახლი „იაფათ“ იშოვნეს, ქეიფს მოუხშირეს. ჯერ ჯერობით ერთი ცხვარი და რამოდენიმე ფუთი ღვინო შეიწირა ამ კეთილმა საქმემ და კეთილმა ხალხმა.

გლები.

სამიქაო. ვიცი ძმაო მოგწყინდება მუდამ მღვდლებზე საუბარი, (მათრახს მათზე ნავარჯიმებს აღარ უძღვებს ვგონებ ტარი) მაგრამ ჩვენი სულის მწყემსი არის ერთობ საშიშარი, დრამის ფულლებს ჯერ ხალხს უთმობს მერმე იცის საჩივარი. თუ არ მიეცე, სად წაუხვალ? სურაჟნიკი და მისი ჯანი ისეთ მუხრუქს შემოგარტყამს რო არ გექნეს გასაქანი, ცოცხალი ხარ, სულს ამოგხდის, კაცს უქანქროთ არადე გასახვის, მოკვდები და მაშინც ფული, უფულოთ ხომ არ დაგმარხავს!

ედვარდი.

დ. ხაშური. პატრიარქული ეშმაკო! გთხოვთ, ინახულოთ ხაშური, რადგან საქმეა, მერწყუნე საგულისხმო და საშური. აქ ნახავთ კოლა ტატიევს, სწორეთ რომ სამათრახოსა, (საკუთარი სახლი რომ სცხოვრობს, სასაფლაოსთან ახლოსა) იგი ავთ გვყავს ძალიან, ქირს ენის დამტეხებანი,

თუმც თავს კარგათ გრძნობს, მაგრამ სხვათათვის მოაქვს ვნებანი.

გთხოვთ, გავეკურნო, მათრახით, ზურგზე აღინოთ მტვერია, თორემ თუ ასე გასტანა... რალა ვსთქვა?... თქვენი მტერია...


რა კი აქ მოხვალ,—ამას გთხოვ, შორს ნულა გაემგზავრები და პაპინაშვილ სანდროსთან სტუმრით ნუ დაგვეხარები.

აგი „ვექილიც“ ავთ გვყავს იმ საშიშარი სენითა, ვინ მოსთელის რაებს არ ჩინახვს თავისი გრძელი ენითა.

„უროცა“ ყელზე დაადგა, ლამის დაიხრჩოს საწყალი; ვერ გადიტანა, არ ქნა თუმც ღვინოც ვასით და წყალი.

გთხოვთ, მასაც მისცხო ეშმაკო მწარე მათრახი შენია; ვეიქრობთ რომ იგი განკურნავს, (მას ბევრი მოურჩენია).

გ—ლი.



მათრახის ფოსტა.

დაუბეჭდვი მასალა რედაქციიდან არავის არ უბრუნდება.

სახილამო. კალამს, რუსული წერა გცოდნით და ნუ თუ საკუთარი სახელი და გვარი აღარ იცით? არ დაიბეჭდება.

ფარცხაშანიძე. სამკაცხეს, ნუ თუ ახლა შეიტყვეთ, რომ ჯვარისწერაში მღვდლები ფულეს იღებენ? არ ვიცი სად გაიზადეთ საცოლო ყმაწვილი!

ქულაში. თავადიღას. „შენი ჭირიმე რედაქტორო ეს ლექსი დაიბეჭდე და შედეგ კიდევ გამოგიგზავნიო“ იწერებთ. ჩვენ ვასრულებთ თხოვნას, მაგრამ ამგვარივე თხოვნით: „შენი ჭირიმე მანო თავადიღავ, მეტს ნულარ გამოგიგზავნი, მართალია, ლექსის ღირსება რომ თავის სიდიდებე არ ყოფლა დამოკიდებული მას მშენიერათ ასაქუთებს თქვენი შემოქმედობა:

„არ ვიცი თუ მხეს აკლო, სინათლე თუ ამ ჩემს თვალებს

კლავინდურათ თავის სხივებს
 ეს არ ისერის აბარბალებს,
 ამოდენა დარდ და გნება
 გამოლაყა სწორეთ თავი,
 რაცხა დარბის აქეთ-იქით,
 რა იქნება ის ნეტავი?

ის აღბათ რომელიმე უპარტო ინტელიგენტი იქნება,
 რომელიც დღეს აქ არის, ხვალ სხვაგან ამოყოფს ხოლმე
 თავს, დროს შესაფერად.

ძუთანი. კრელ გველს. თქვენი ლექსიც ერთობ
 კრელია. არ დაიბეძვება.

სამბრელია. ცოცხალს. „არც კაცი ვარგა თუ ცო-
 ცხალი მკედარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი
 არა რა არგოს.“-ო ათავებთ თქვენს საუცხოვლო ლექსს „აბ-
 რეშუმის პარკს,“ ჩვენ რასაკვირველია არაფერს გკადრებთ,
 მაგრამ ნეტარ-ხსენებელი ბარათაშვილი რომ მოსწრებოდა ამ
 ნაწარმოებს უთუოდ იტყოდა:

„არც კაცი ვარგა თუ აზრ ნაკლე მგოსანს ესახს.
 იჯღეს სოფელში და ამგვარი ლექსები ჩმახოს.“

თქვენ იმიტოლა შეგიძლიათ ინუგეშოთ, რომ ბარათაშვი-
 ლი ცოცხალი არ არის.



„მათრასის“ რედაქციისაგან.

ჩვენი გაზეთის № 22 მითავსებულაა ზატარა ცნო-
 ბა ხანის საფოსტო გაზეთიდან. როგორც
 მრავალ სანდო ბართა შეკითხვამ გამოთარკავა. რედაქცია
 შეცდომაში შეუყვანია კორესპონდენტს (ზატარა-ემსაკს)
 რისთვისაც საუკუდურს გუჯდავებთ მას.

დ. ს ა მ ბ რ ე ლ ი ა შ ი.

დღეიდან საღვთის წიგნის შკაფის გამგემ გაიჩინა
 ეურნ.-ვაზთების გამყიდველები შემდეგ საღვთურებზე:
 სკაფასო, ნიგოთი, ღანჩხუთი, ჟუშთი, სუფსა და ნა-
 ტანებში. მასვე ყავს ვაზთების აგენტი დ. ხონში—
 კურტიხა შებუკე, სენაში—ზ. ხუჯუა და ჟისისში—მე-
 კაზუაუე, შვენთაში დ. ნემსატყისთან. ამათ გარდა ყვე-
 ლა ადგილობრივ ვაზთებისა, იყიდება სატახტო
 ვაზთებიც. აქვე იყიდება ქუთათური ვაზეთი „ფონი“
 შკაფის გამგე უარამან კოზაღვიშვილი.

ეპიკორისტულ-პოპულიზარული, ეოკულ-კვირუ-
 ული, სურათებიანი ქურნალი

**„მათრასი და
 სალამური“**

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—
 2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირე-
 ბულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქ-
 ციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალა-
 მურის“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ
 გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.
 დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлиси, Типогра-
 фия Т-ва «Шрома» Василию Болквадзе.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და ზღრეთვე კაპეზვანებათ მსურველთ:

- 1) „ემსაკის მათრასი“ 1907 წლისა
 13 ნომერი ერთად შეკერილი. 1 მ. 50 კ.
 - 2) „ემსაკის მათრასი“ და „მათრა-
 სი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შე-
 კერილი 2 — 50
 - 3) „აღმანახები“: აკაკი, ემსაკი,
 ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი,
 —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული — 50
 - 4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი
 დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ.
 ირეთელისა — 20
- ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირე-
 ბულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფუ-
 ლი არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამ-
 ბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის
 მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

